ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 24
წელიწადი მეორე
— 1913 —
ოთხშაბათი, 30 იანვარი

რედაქცია მოთავსებულია **ქუთაისში**, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. შილაძის სახლში, (შიათურის შავქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

აბა, მოსწიეთ პაპიროზი

15 ცალი 6 კ. „ანი“ 25 ცალი 2 შაურათ

აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი“.

აბა, მოსწიეთ პაპიროზი

20 ცალი 1 შაურათ „ზელაია რომაშკა“ 20 ცალი 1 შაურათ

აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი“.

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 იმერეთი წელიწადი მეორე 1913

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ეკენისთვეს ორი მანეთი.

მასწავლებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლო-ვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის —სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михаиловичу Желадзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

თ-დი გიორგი დავითისძე წერეთელი და კ-ნა თამარ გიორგის ასული ამირაჯიბისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 27 ამა იანვარს დაბა საჩხერეში გარდაიცვალა პირველის უძვირფასესი მეუღლე და მეორეს საყვარელი დედა კ-ნა

სადიკო მელქისედეკის ასული **წერეთლისა.**

დასაფლავება მოხდება 2 თებერვალს, დღით შაბათს დ. საჩხერეში დილის ათ საათზე, საკრებულო ტაძრის სასაფლაოზე.

მარიამ კოსტანტინეს ასული გამყრელიძისა გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი დედის

ნატალია ალმასხანის ასულის **ერისთავის**

მეუღლის გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 30 იანვარს დ. საჩხერეში.

ქ. ქუთაისში

კაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა.

[illegible]ვრიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი [illegible]ასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

ქუთაისის მოვაჭრეთა საყურადღებოთ.

თეატრ რადიუმში

1 იანვრიდან 1913 წ.

იყიდება ადგილები

სცენის ფარდაზე

განცხადებების და რეკლამებისათვის.

[illegible]რველთ შეუძლიათ მიმართონ თეატრ რადიუმის დირექციას, ყოველდღე საღამოს 7 საათიდან.

ქართული თეატრი.

ბენეფისი მარო მდივნისა

ხუთშაბათს 31 იანვარს წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა

პატარა კოლეტა

მოზარდი ქალის სიყვარული.

(კომ. 4 მოქმ., თარგ. სანდალძისა)

ადგილების ფასი საბენეფისოა. —◆— დასაწყისი სად. 8½ საათზე

პირველი თებერვლიდან გაზ. „იმერეთი“ ამა წლის დამლევამდი ღირს 6 მან. 10 შ.

ექიმი ი. ჩარექოვი. იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 სათ. 2-დე; საღამოს 5—7.

ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი თოსელიანის სახლი.

ექიმი ვ. ი. **ფუფინი** ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოსპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

დ ღ ი უ რ ი

ვენეზილოსი ბელგრადს მივიდა, იქ მეფე და პაშიჩი ინახულა და შემდეგ სოფიაში წავიდა.

— ავსტრიამოითხოვს—დიპლომატიური ალბანეთს მიეკუთვნოსო.

— ხმაა— სკუტარის სიმაგრეების უფროსი ალი-რიზა-ბეი მოკლესო.

— რუმინიამ პორტას აცნობა: ჩვენი დახმარების იმედი ნუ გაქვსო.

— ომის განახლების გამო, იტალიამ, ინგლისმა, ავსტრიამა და გერმანიამ ბულგარეთ შეეკითხენ: გაგვაგებიე მიზეზი—რისთვისაც შეთანხმება არ მოხდაო. შეკითხვას რუსეთმა და საფრანგეთმა ხელი არ მოაწერეს.

— ადრიანოპოლის უმთავრესი სიმაგრეები ბულგარელებმა აიღეს.

— ენვერ-ბეი ოცი ათასი ჯარის კაცით ბულგარლებს შეებრძოლება. ჯარის კაცები სულ მცირე აზიელები არიან.

— ბულგარლებმა გალიპოლში გამარჯვებას შემდეგ გადაწყვიტეს—ჩატალჯა დროებით განზე დასტოვონ და სტამბოლს მივიდენ.

— პრინცი პოგენლო პეტერბურგიდან ვენას დაბრუნდა. იგი მეფე ფრანც იოსებს რუსეთის ხელმწიფის საკუთარ წერილს გადასცემს.

— მექსიკაში სამხედრო არეულობის დროს 250 კაცი მოუკლავთ და მრავალი დაუჭრიათ, პრეზიდენტი და მინისტრები სასახლიდან გაიქცენ.

— მსოფლიოს პატრიარქათ ხალკედონიის მიტროპოლიტი გერმანი აირჩიეს.

— იაპონიაში 25,000 კაცის მიტინგი გაიმართა, რომელმაც კაცურას პარტიას პროტესტი გაუცხადა.

სამელიორაციო თუ კომერციული ბანკი?

(პასუხათ ნ. თავდგირიძეს).

ნ. თავდგირიძე „ჩვენს დროებაში“ (№ 21) მოთავსებული წერილით ჩვენ არ დაგვეთანხმა და გვირჩევს სანადელო მიწებში აღებული ფულის ნაწილით კომერციული ბანკის დაარსებას. ეს აზრი ბევრნაირათ შეუწყნარებელია.

კომერციული ბანკის მოგებით მხოლოდ ის ისარგებლებს, ვინც მის აქციებს შეიძენს და მასში ფულს დასდებს საპროცენტოთ ე. ი. ის თავად-აზნაურობა, რომელმაც სანადელო ფული უნდა აიღოს. ხოლო მისი ოპერაციებით კი ისარგებლებს სავაჭრო-სამრეწველო კლასი. ასე დახედავთ საქმეს თუ ისე, ასეთი ბანკი მხოლოდ ერთი კლასის ინტერესების დამცველი იქნება, მხოლოდ ერთ კლასს გაუმართავს ხელს. ხალხი კი, და ნამეტურ ის გლეხ-კაცობა, რომელსაც ასე უსამართლოდ დაადვეს ეს ახალი ბეგარა და რომლის ფულით, მაშასადამე, საზოგადო თანხის შედგენას ვაპირებთ, სრულიად მშრალზე რჩება. მას ამ კომერციულ ბანკის დარსებით არც დათფება და არც შესცივა, იგი ვერც კი შეიტყობს მის არსებობას, ვინაიდან მთელი მისი მოქმედება—ოპერაციები დატრიალდება გარეშე გლეხკაცობისა. რა ზნეობრივი უფლება გვაქვს ვურჩიოთ თავად-აზნაურობას ისეთი დაწესებულება შექმნას, რომელიც მშრომელ ელემენტებს არაფერს მოუტანს, რომლითაც მთელი ერის ყველა ნაწილი ვერ ისარგებლებს? რით შევიძლია ჩადენილი უსამართლობა (სასყიდლით შეხსნა) ცოტათ მაინც შევასუსტოთ, თუ არა იმით, რომ რაიმე სახალხოს, გლეხობის ქირვარამის გამძლოლ დაწესებულებას დავუდვათ საფუძველი? განა თავად-აზნაურობა რომ დროებით წელში გაიმართოს, ამით, ბ. ნიკო, თქვენ გგონიათ ქვეყანას რამე ეშველება? ის, ვინც ერს ასაზღოებს, ის ვინც ამ ერის კეთილდღეობის შემქნელია თავის დაუღალავი შრომით,—აი სწორედ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ყურადღება, მთელი ჩვენი ზრუნვა. ის, რაც დემოკრატიულ მასას არ ემსახურება, ის არც ეროვნულია. მარტო თავად-აზნაურობა თქვენი პროექტის განხორციელებით მაინც ბევრს ვერას გააწყობს, თუ მას გვერდით ეკონომიურათ და კულტურულათ დაცემული მიწათ-მოქმედი გლეხკაცობა ეყოლება. ჩვენ საზოგადოებრივ დაწყებულებას ერთი მიზანი უნდა ქონდეს—მასა წასწიოს წინ, გაამაგროს იგი ეკონომიურათ, განუვითაროს მას თვითშეგნება. მე თუ მასას ვიხსენიებ ხოლმე, ამას ვშრები არა სიტყვის სალამაზოთ და არც მოდის ზეგავლენით. ამას მალაპარაკებს ღრმა რწმენა, ღრმა დაკვირვება ადგილობრივ დასავლეთი ევროპის ცხოვრებისა. ჩვენი ეროვნული, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ხსნა მასაშია თუ მას კვლდი ავუქციეთ ან ზემოთ ცქერა დავუწყეთ, ამ ცხოვრების სვლას დიდათ და დიდათ შევაფერხებთ. სადაც მასა შედარებით განათლებულია, სადაც იგი ნიკთიერად

შედარებით მაღლა დგას, იქ ის შეგნებით და თავის ნებით ასრულებს ცხოვრებაში იმას, რასაც უფრო ცუდ პირობებში ,,როზგით'' ჯარიმით და ათას სხვა რეპრესიებით ასრულებიებენ; იქ მას კანონის თუ სავალდებულო დადგენილებათა ასრულება მოთხოვნილებათ აქვს გადაქცეული. ეს კი სულ იმიტომ არის რომ მას ავიცა და კარგიც, თავისა და საზოგადოების სასარგებლოცა და საზიანოცა შეუგნია. და სადაც ასეთი შეგნებაა უმრავლესობისა, იქ ცხოვრებაც წინ მიდის. ერთ ჯგუფს ან ერთ წოდებას რაც უნდა განათლებული და ნივთიერად ძლიერი იყოს იგი, არ ძალუძს ასეთი თუ ისეთი მიმდინარეობა უწეროს ცხოვრებას.

მოიგონეთ ეს საანბანო ჭეშმარიტება, კარგათ გაითვალისწინეთ თქვენი პროექტი და მიბძანეთ, აბა, ამ მასას კოერციულ ბანკით რა მოეცხება?

მართლა, თქვენ წერილში, ბ. ნიკო, წინდახედულია საერთო სასარგებლო ფონდიც, მაგრამ ამის შესახებ, აი, რას მოგახსენებთ:

სადაც აქციონერები (ე. ი. ჩვენი თავად-აზნაურობა) 8-9% დივიდენდს აიღებენ, როგორც თქვენ ანგარიშობთ, იქ ასეთ თანხაზე ლაპარაკი ფუჭია—უკეთეს შემთხვევაში ეს თანხა, ასეთ დივიდენდის გარეშე, ერთობ უმნიშვნელო იქნება თავის რაოდენობით. ვერ გამიგია, თუ როგორ მოხდება, რომ საშუალო ქონების საკრედიტო დაწესებულებამ 8-9% დივიდენდი მისცეს და იმავე დროს ასი ათასობით კიდევ სხვა მოგება დასტოვოს? რუსეთში ერთი მდიდარი საკრედიტო დაწესებულებათაგანი აზოვ-დონის ბანკია. ეს ბანკი კომერციული ბანკია. აბა, გადავათვალიეროთ მისი ანგარიში, რას გვეტყვის იგი? მისი თავდაპირველი (СКЛАД КАПИТ.) თანხა დღეს 40 მილიონს უდრის, სავარაუდო—20 მილიონს და განსაკუთრებული სარეზერვო თანხა—12 მილიონს. სხვადასხვა მიბარებული ფულის რაოდენობა (მიმდინარე ანგარიშზე, ვადით, უვადოთ) პეტერბურგსა და ბანკის ყველა განყოფილებებში 200 მილიონამდი ადის. მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა, ეს ბანკი დივიდენდათ მხოლოდ 6% აძლევს აქციონერებს, თუ მისი აქციების კურსით ღირებულება მივიღეთ სახეში (600 მანეთამდი ადის თითო აქცია) და 14%, თუ აქციების ნომინალურ ღირებულებაზე ვიანგარიშეთ (250 მან.) გარდა ამ დივიდენდებისა ბანკს სხვა არავითარი წმინდა მოგება არა რჩება. კომერციული ბანკი რომ ისეთი ფულის მომგები საქმე იყოს, როგორც ეს თქვენ წარმოგიდგენიათ, მაშინ ფულის პატრონები ამის მეტს არაფერს გაიჩენდენ.

მე არა მჯერა, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ 4 მილიონი ფული, აბა თუ იმ სახით, შეიტანოს ბანკში, როგორც თქვენ ანგარიშობთ. მაგრამ ვთქვათ, თქვენი სიტყვა გამართლდა. რატომ ფიქრობთ, თუ თავად-აზნაურობამ ამდენი თანხა დასდვა კომერციულ ბანკში, მაშინ შეიძლება წელიწადში ერთ მილიონ ორასი ათასი მანეთიდან ორ მილიონამდი მოგება დარჩეს, ხოლო თუ ამდენივე თანხა სამელიორაციო ბანკს გადაეცა, ამდენივე მოგებას ეს უკანასკნელი ვერ მოგვცემს? თუ ,,ერთი მილიონი საწევრო ფულით და სამი მილ. მიბარებულ თანხით შეიძლება კომერციულმა ბანკმა 12-13 მილიონი სხვადასხვანაირი წესით სესხი გასცეს'' რატომ ამასვე ვერ იზამს სამელიორაციო ბანკი? აქაც, მე ვგონებ, იგივე აქტი იმავე ან თითქმის იმავე შედეგებს გამოიწვევს. აქაც თავად-აზნაურობის მიერ მიბარებული თუ შეტანილი ფული სხვათა კაპიტალებს მოიწვევს.

ამბობთ, თავად-აზნაურობა დღეს ქონებრივათ გალატაკებულია, მას ქველმოქმედება არ შეუძლიაო და იმავე დროს წინადადებას აძლევთ—ნახევარი ასლები ფულისა (4 მილიონი) ბანკში შეიტანეო. შეუძლია ეს მას? ან იზამს იგი ამა? არც იზამს, როგორც მოგახსენეთ, და არც შეუძლია. ის ისეთ ნივთიერ ყოფაში არ არის, რომ თვით გამსესხებლის როლში ჩადგეს. ისიც დიდი ღვთის წყალობა იქმნება, თუ მან საიდანმე აღებული სესხი თავის მამულს ნაყოფიერათ მოახმარა და თავნიც და მისი სარგებელიც ამ მამულის შემოსავლით გაისტუმრა.

სამელიორაციო კრედიტი სწორედ იმით არის კარგი, რომ ის მამულის სამეურნეო-სატეხნიკო გაუმჯობესობას ხმარდება. იგი ჩვენს პირობებში მეტად სასურველი და სასარგებლო იმიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ უპირველესს საჭიროებას უგებს პასუხს. დიდ ანომალიათ უნდა ჩავთვალოთ, რომ მიწათმოქმედ ქვეყანაში მიწათმოქმედება და საზოგადოთ სასოფლო მეურნეობა, სამეურნეო ტეხნიკა ღვთის ანაბარათ არის მიტოვებული კრედიტის მხრივ. უბრალო, მარტივი ლოღიკა იმას გვეუბნება, რომ კრედიტი ჯერ იმას უნდა გაუჩინოთ, რაც ქვეყანას ასაზრდოებს, რაც ამ ქვეყნის მთავარი ძარღვია, მისი დამახასიათებელია, რასაც უკვე ძველი დროიდანვე ნიადაგი მოპოვებული აქვს, და შემდეგ ცხოვრების სხვა დარგების განვითარება-აღორძინებას შევუდგეთ. თუ ქართულ სამეურნეო და საადგილ-მამულო ბანკებს მხედველობაში არ მივიღებთ, ჩვენ მეურნეობას ხომ არავითარი კრედიტი არ გააჩნია და ნუ თუ ეს მოვლენა თქვენ არ გაფიქრებთ?

რა თქმა უნდა, ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება-გაძლიერებაც დიდი მნიშვნელობის ფაქტორია, მაგრამ ეს დარგი ეკონომიური ცხოვრებისა მაინც, ასე თუ ისე, კრედიტით სარგებლობს და ისეთ უმწეო მდგომარეობას არ განიცდის, როგორსაც სოფლის მეურნეობა. ყველა ბანკი ჩვენში, ქართველთაგან თუ უცხოთაგან დაარსებული, საურთიერთო თუ სააქციონერო ტიპისა,—ყველა ესენი სავაჭრო-სამრეწველო კლასს ემსახურება მიუხედავათ ეროვნებისა. საბანკო თუ კერძო კრედიტის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ნდობას აქვს და არა ეროვნებას. თუ ქართველი ვაჭარი სანდო პირია, მას კარი ღია აქვს ყველა საკრედიტო დაწესებულებაში: სახელმწიფო, აზოვის, ვოლგა-კამის და სხვა ბანკებში. მაშ თუ ასეა, სხვა მოსაზრებანიც რომ რომ უკუ ვაგდოთ, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენთვის ამ ჟამათ კომერციული ბანკის დაარსებას უპირველეს საჭიროების საკითხათ ვერ ჩავთვლით.

შეიძლება სთქვათ—თავად-აზნაურობა მამულში ჩაყრის სესხს და ამ გზით შემოსავალს გაიმრავლებს თუ ბანკს მიაბარებს ფულს და დივიდენდს აიღებს,—განა ეს სულ ერთი არ არისო? არა, ეს სრულიადაც ერთი და იგივე არ არის. პირველ შემთხვევაში მამული უმჯობესდება და იგი შემოსავლის მუდმივ წყაროთ იქცევა, მეორე შემთხვევაში დივიდენდი იმ წამსვე ისპობა, როგორც კი მიმბარებელს ფული ბანკიდან გამოაქვს. ფულს კი ჩვენი თავადი ან აზნაური რომ ბანკში დიდხანს არ დასტოვებს, ეს ღმერთმაც იცის და კაცმაც. აკი თქვენ თვითონ ადასტურებთ, რომ გაჭირვება ამ წოდებას დიდი აქვსო და მე კი ამას იმაც დავუმატებ, რომ განცხრომის მადაც არ აკლია! ფული საზოგადოთ დიდი მაცთურია და ასეთ პირობებში ხომ მით უმეტეს!

ერთი და იგივე არ არის თუ გარდა ამისა საზოგადოებრივი თვალსაზრისითაც შევხედავთ საკითხს. სოფლის მამულების მელიორაცია ქვეყანას მეტს სიკეთეს სძენს, ქვეყნის დოვლათს, ეროვნულ სიმდიდრეს ამრავლებს, ხოლო თავად-აზნაურთა მიერ დივიდენდის აღება, ერთი ჯიბიდან მეორე ჯიბეში ფულის გადასვლა, თავის თავათ ცხადია, ყოველ საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებულია.

მაგრამ მთავარი და გარდამწყვეტი მნიშვნელობა დაყენებულ საკითხში ჩვენთვის, აკი მოგახსენეთ, ერთ მოსაზრებას აქვს: ვის ემსახურება ეს თუ ის დაწესებულება? სამელიორაციო ბანკს ისე მაგრათ მიტომ ჩავჭიდებივართ, რომ იგი სახალხო დაწესებულებათ მიგვაჩნია. ყოველი მიწის მუშა, ყოველი მშრომელი გლეხი ამ ბანკში იპოვის მისთვის მეტათ საჭირო იაფ სესხს. ყოველ სოფელს შეუძლია ამ ბანკს მიმართოს სესხისათვის თავის საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ (წყალსადენი, ირიგაცია და სხ.). უსარგებლო ეს ბანკი არც თავად-აზნაურობისათვის იქნება, რამდენათ იგი მიწათფლობელი კლასია, რამდენათ იგი მეურნეობას მისდევს, გარდა იმისა, რომ, იგი როგორც მკვიდრი სოფლისა, იმითაც ისარგებლებს, რასაც მთელი სოფელი ააგებს თუ გააკეთებს ამ ბანკიდან გამოტანილ სესხით. ამ სახით თუ იმ სახით, თავათ-აზნაურობაც ბევრ სიკეთეს უნდა მოელოდეს სამელიორაციო ბანკისაგან, რომლის დასაარსებლათ თანხის გამოღება, მაშასადამე, არ თუ ქველმოქმედება იქნება მისი მხრით.

გრ. გველესიანი.

ახალი ამბავი.

როგორც ვიცით, თავადაზნაურთა კრებამ დაადგინა—უმაღლესათ ნაბოძები ფული, რომელიც სტიპენდიებათ რიგდებოდა, ქუთაისის ქართული გიმნაზიის შესანახათ გადადებულიყო. ეს დადგენილება მეფის მეფის მოადგილეს უკვე დაუმტკიცებია და თავად-აზნაურთა საკრებულოს ამაზე ცნობა კიდეც მიუღია წასული წლის 7 ნოემბრიდან.

◆ ქნ. სოფიო მიქელაძისამ ჩვეულებრივათ შემოსწირა ქუთ. ქართ. გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლათ ასი მანეთი, რისთვისაც გიმნაზიის გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს.

◆ რედაქციამ მიიღო წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილების მიერ გამოცემული მწერალი ქალის ეკატ. გაბაშვილის მეულლის საყმაწვილო მოთხრობა წიგნი სუფთად გამოცემულია ჩინებული სურათებით და ღირს ერთ შაურათ. ეს იაფი გამოცემა განყოფილებამ კიდეც გაუგზავნა პროვინციალურს განყოფილებათ და თფილისის უმთავრესი გამგეობის წიგნის მაღაზიას. განყოფილება მეორე მოთხრობასაც მალე მიაწოდებს საზოგადოებას იმავე ავტორისას.

◆ ხვალიდან ჩვენს გაზეთში მოვათავსებთ ნ. ნიკოლაძის საპასუხო წერილს იონა მეუნარგიას წერილის გამო, რომელიც ,,იმერეთში'' დაიბეჭდა. პასუხი ვრცელია და რედაქცია იძულებულია ოთხათ გაყოს იგი.

◆ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა ოქმი შეუდგინა შემდეგს პირებს: ყასბებს გიორგი ჯანგავაძეს, ალექ. გიორგაძეს, რაჟ. ქარხალაშვილს და ივ. კუხიაიძეს ხორცის ნიხრს ზევით გაყიდვისათვის; ჩარჩებს შალომ ხახანაშვილს და მიხ. იაკობიშვილს ბაზარში ვაჭრობის წესის დარღვევისათვის.

◆ სულით ავათმყოფი პოლიტიკური პატიმარი ევგენი დვალი ფსიქიატრულ საავათმყოფოში მოათავსეს.

◆ იანვრის 21 ქ. კიევიდან ჩამოიყვანეს და დროებით ქუთ. საგუბ. ციხეში მოათავსეს გიორგი ძიგოშვილი, რომელსაც 12 წლის სასჯელი (კატორგა) უკვე მოუხდია კუნძულ სახალინზე. ამ ხნის განმავლობაში მას სასჯელი მანიფესტების ძალით შემცირებია, მაგრამ უსახსრობის გამო სამშობლომდი ვერ მოუღწევია. დიდის გაჭირვებით ქ. კიევამდი მოსულა, აქ ქუჩა-ქუჩათ მათხოვრობა დაუწყია, პოლიციას შეუპყრია, როგორც უბილეთო და ეტაპით სამშობლოში (დუშეთში) გზავნიან.

◆ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ბიჭია მიქაბაძის თაოსნობით მგალობელთა გუნდი შემდგარა.

◆ პეტერბურგში გადაიცვალა ა. ნოვიკოვი. განსვენებული საქალაქო საქმეების კარგი მცოდნე იყო. ის რამდენიმე წლის განმავლობაში ბაქოს ქალაქის მოურავათაც იყო. შრომის ჯგუფმა ნოვიკოვის ოჯახს სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნა. რუსულმა გაზეთებმა მის ხსოვნას წერილები უძღვნეს.

◆ თფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე ლაგოდა ოდესაში გადაყავთო.

◆ მეფის მოადგილეს ოლქის მზრუნველისათვის სწავლა-აღზრდის საქმეების შესახებ ცირკულიარი გადაუცია. ნამესტნიკს მზრუნველისთვის დაუვალებია ამ ცირკულიარის შკოლის უფროსებისათვის გაგზავნა. მზრუნველი ცირკულიარს თავის თვიურ გამოცემაში დაბეჭდავს, რომელსაც ძალიან მცირე ნაწილი კითხულობს იმათი, ვისთვისაც ეს ცირკულიარი უმეტესათ საგულისხმოა. უმჯობესია ეს ცირკულიარი ცალკე წიგნათ გამოიცეს, და ყველა შკოლებს დაეგზავნოსო სწერს „ზაკ. რეჩი“.

◆ წ. კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ს. შემოქმედში სამკითხველოს გახსნის ნება სთხოვა ქუთაისის გუბერნატორს.

◆ ქუთაისის ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოების შუამდგომლობა აღუძრავს ქალ. თვითმართველობის წინაშე, რომ უფასოთ ან ძლიერ შეღავათიანი პირობით დაუთმოს ხსენებულ საზოგადოებას ამ ჟამათ ქალაქისაგან იჯარით აღებული ადგილი მდებარე კახიანოურში ზომით ერთი დესიატინა. ამ ადგილზე საზოგადოებას სურს ააგოს სასწავლებლისთვის საკუთარი შენობა.

◆ 1912 წელში ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიას გაუსინჯავს სულ 1179 სანოვაგის ნიმუში, ამათში 365 ნიმუში ე. ი. 30% უარგისი გამომდგარა და პატრონებისთვის ოქმი შეუდგენია. ლაბორატორიას ქონია სულ შემოსავალი 254 მ. და 32 კაპიკი.

◆ ქალაქის მეფურნეებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის საბჭოს პურის ნიხრის მომატების შესახებ.

მოწერილი ამბავი

დ. სამტრედია.

— კვირას 27 იანვარს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობამ სამინისტრო ორკლასიან სასწავლებლის დარბაზში მოიწვია დაინტერესებულ პირთა კრება, რომელთაც თავიანთ შორის ამოირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი კომისია. კომისიაში შედიან ბ.ბ. გ. ურუშაძე, გ. სიხარულიძე, ს. ფრანგიშვილი მ. ლაზარიშვილი და ბ. კორძაია და ევალებათ ვლ. სარდ. ალექსი მესხიშვილის იუბილეს მოწყობა 10 თებერვალს.

— რკინის გზის ტელეგრაფისტებში უკანასკნელ დროს ფეხს იკიდებს „ბახუსისადმი“ ტრფიალი, რასაც არა იშვიათად უსიამოვნება და ერთმანეთის ლანძღვა-გინება მოსდევს..

— სხვა რკინის გზის მოსამსახურეთა შორის ტელეგრაფისტებსაც გამოუწერიათ ჟურნალი »Пробужденіе‘‘ და ისეთი შემთხვევაა, რომ ერთს ორი ეგზემპლიარი მოსდის და მეორეს, რომელსაც გამოწერილი აქვს, შეცთომით სულ არ მოსდის, ორი ეგზემპლიარის მიმღები ყიდის კერძოთ თავის „მეორე ეგზემპლიარს“ და გამომწერი კი უჟურნალოთ რჩება. ამხანაგობაც ასეთი უნდა.

ხარაგაული (ზემო-იმერეთი).

ხარაგაულის საზოგადოებისაგან ხუთი კაცისაგან დეპუტაცია იყო გაგზავნილი შორაპნის მაზრის წინამძღოლის თ. ალექსანდრე (ბიჭიკოს) წერეთლის გასვენებაზე, რომელთაც გვირგვინით შეამკეს ცხედარი.

— 26 იანვარს დ. ხარაგაულში მოვიდა მომრიგებელი შუამავალი, რომელსაც დაბარებული ყავდა დროებით ვალდებული გლეხები და მებატონეები და გამოუცხადა მათ რომ ხაზინამ უნდა შეისყიდოს მათი მამულები და გლეხებმა კი ხაზინას უნდა აძლიონ შესაფერი სარგებელი იმისდამიხედვით თუ ვინ რამდენი ხნით იკისრებს გადახდას.

— ხარაგაულის უფასო სამკითხველოს დღეს მხოლოდ ორი გაზეთი მოსდის: ,,იმერეთი'' და ,,მერცხალი''. ,,იმერეთი'' იმიტომ, რომ ნისიათ გზავნის და ,,მერცხალი'' კი სხვამ შემოსწირა. დანარჩენმა რედაქციებმა გაზეთის გზავნა შესწყვიტეს. ამიტომ თუ კეთილს ინებებენ და პატივცემული წევრები იმ საწევრო ფულს დროით შემოიტანებენ, რომელთაც ჯერ კიდევ არ შემოუტანიათ, დიდათ ხელს შეუწყობენ სამკითხველოს არსებობას.

,,გუბერნიის დემოკრატია''.

აკაკი წერეთლის ჩასვლამ მოსკოვში დიდი სალაპარაკო მასალა მისცა მოსკოვის გაზეთებს. დიდმა გაზეთებმა წერილები უძღვნეს მხცოვან მგოსანს. მისი ინტერვიუ ისეთი საინტერესო გახდა, რომ ოფიციალური „კავკაზი“ იძულებული იყო ხმა ამოეღო. მოსკოვის ქართველებმა მის პატივსაცემლათ ბანკეტი გამართეს, რომელზედაც დაესწრენ რუსული ლიტერატურის და ჟურნალისტიკის წარმომადგენელნი. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი უდიდესი ლირიკოსი განსაკუთრებით პოლიტიკურ თემებზე ლაპარაკობდა. ერთი სიტყვით ხელში შეგვრჩა დიდსარგებლიანი პოლიტიკური აგიტაცია, რომელიც ძლიერათ აღიბეჭდება, როგორც რუსეთის მოწინავე, ისე ქართველ საზოგადოების მეხსიერებაში. ეჭვი არ არის პოეტს, რომელიც თავის კერძო საქმეებისთვის იყ წასული რუსეთს, წინათ-განზრახულა არ ჩამოერთმევა ასეთი საქციელ და მოსკოვის პრესა დიდი მადლობის ღირსია, რომ ასე ყურადღებით მ მგოსანს, რომლის ორმოცდაათი წლ მოღვაწეობის იუბილე ამ მცირე ხანშ გადავიხადეთ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ბოლო ფრიად საინტერესო გამოდგა და ასეთ ფაქტს იძულებული ვართ დიდი ან გარიში გავუწიოთ.

მაგრამ ამასთანავე ერთად არ შეგვძ ლია არ გავიხსენოთ მეორე უფრო დ დი ფაქტი, რომელზედაც უნდა ვწ როთ კიდეც და ვილაპარაკოთ. ს ერთი თვის წინათ საქართველოს დეპუ ტატმა ვ. გელოვანმა მინისტრთა თავ ჯდომარის დეკლარაციის საპასუხოთ წარ მოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშ ნა საქართველოს ავტონომიის საჭირო ბა. მაშინვე იქნა აღნიშნული ქართულ პრესაში, რომ ასეთ დიდ განცხადებ სათათბირო, პრესა და მოწინავე საზო გადოება ყრუთ შეხვდა. თავისთავათ ასეთი განცხადება დიდი ფაქტია. გამო სვლა რომელიმე ერის დეპუტატისა განცხადება, რომ ჩემი ხალხი მართველობას თხოულობსო, ნიშ რომ სახელმწიფოს ცხოვრებას ახალი ხანა, რომელსაც ანგარიში უნ გაუწიოს პარლამენტმაც და სახელმ ფომაც. ყოველი გამოსვლა დეპუტატ ევროპის პარლამენტებში და მეტად ასეთი გამოსვლა,—სენსაციას გამოიწ და, ალაპარაკდებოდა უპირველესათ ყ ლისა თვით პარლამენტი, ალაპარაკ ბოდა პრესა, საჭირო იქნებოდა გამ ზევება საზოგადოებრივი აზრისა. რამ მზგავსი რამ არ მომხდარა რუს ში. იმიტომ კი არა, რომ დეპუტ გელოვანის განცხადება ანგარიშ გას ვი არ იყო, ან ისეთი ეფექტით მნიშვნელობით არ იყო წარმოთქმუ ჩვენ გვგონია, მიზეზი ამისა მრავა და მათი გათვალისწინება მეტი არ ნება.

უპირველესად ყოვლისა ასეთი ფაქ რუსეთის პარლამენტარიზმის უსუსურ ბასა ნიშნავს. თანამედროვე კონსტიტ ციონური სახელმწიფო სამი ფაქტო საგან შესდგება: პარლამენტი, მთავ ბა და ტახტი. იმ ქვეყნებში, სად პარლამენტარიზმი გამჯდარია, ეს ს ფაქტორი იმ კიბეს წარმოადგენს, რ მელზედაც სახელმწიფოებრივი იდ მარტო ზევიდან ქვევით კი არ ჩამო ან, როგორც გამოსახულები მონარ პრეროგატივისა, ან მთავრობის ს ვილებისა, არამედ ზევიდან ქვემო ადიან, როგორც გამოსახულება ხალ პარლამენტის უფლებისა. ამ მხრით რ სეთის პარლამენტარიზმი ამ სისრუ დი არ მისულა. ამით აიხსნება, რ სურვილი პარლამენტისა, ან მისი ნ ლისა, არამც თუ ვერ პოებს მომ მთავრობაში, უპასუხოთაც კი რჩება უკანასკნელის მიერ. რუსეთის მინის რები არაოდეს არ ლაპარაკობენ პუტატებზე, პარტიებზე, პროგრამ ერებზე და მათ მოთხოვნილებაზე. ძოთ ეროვნულ საკითხში—ფინლან და პოლონეთი—აი, ორი სახელი, მელსაც ახსენებენ ისინი და ისიც ტომ, რომ ოფიციალურათ ფინლან „დიდი სამთავროა“ და პოლონეთი მეფო“. ამ მხრით მინისტრთა ლ კონი გამდიდრებას თხოულობს და საკვირველია, ბრძოლა პოლიტიკურ ლებისთვის იქ, სადაც ჯერ შეთვ ბული არ არის უბრალო პოლიტიკ და ისტორიული ტერმინოლოგიაც, დია, ძნელზე უძნელესი იქნება. ციალურ რუსეთს ეხოთირება არა ტო სახელი „ავტონომია“, რომ არ არსებობს, მას ეხოთირება სახელი „საქართველო“, რომელიც სებობს, როგორც კულტ-ისტორ თეული. თუ გავითვალისწინებთ ყ ამას, მაშინ ცხადი იქნება ჩვენთვის მაზანიც, რომელიც უნდა დაის ჩვენმა დეპუტატებმა სათათბიროში, ს ვა „საქართველოს ავტონომია“ უნდა გადაქმნან საპარლამენტო ტ ნათ და ეს კი ცოტას არ ნიშნავს. ქართ პოლიტიკური იდეა უნდა უზრუნველ ამ მხრით, რომ მას ანტისახელმწიფოებ იდეათ აღარ სთვლიდენ. ეს კი მოხ მაშინ, როცა იგი მოიპოვებს თავის ზიციას პარლამენტში.

მაგრამ ზემო აღნიშნული მიზეზის გარ- ა, არის კიდევ სხვა, რომელმაც ზიანი აყენა დეპუტატი გელოვანის პირველ ამოსვლას. სოციალდემოკრატიული პო- ცია ჩხეიძესი და ჩხენკელისა აუცი- ებლათ მავნეა ჩვენთვის. ეჭვი არ არის, თ შეიტანეს დისონანსი გელოვანის ველ ნაბიჯში. არას ვიტყვით ე. გე- კორიზე, რომლის საქციელი არ შეეფე- ბა თუ გინდ ყოფილ პარლამენტარისტს; ნცხადება დეპუტატი ჩხენკელისა, რომ თაისის დემოკრატიამ ვითომ მათ დაა- ლა თავის ინტერესების დაცვა—აბსურ- ია იურიდიულათ და უარესი აბსურდია თ პარლამენტარიზმის თვალსაზრი- თ, რადგან ვერავითარი ,,დაბარება'' ერ დაუშლის ვ. გელოვანს გამოვიდეს ა ჩხენკელზე უკეთესად დაიცვას ქუ- აისის გუბერნიის დემოკრატიის ინტე- ესები. თა თუ გელოვანი ამის უნარს ამოიჩენს, ვერავითარი ,,გუბერნიის დე- მოკრატია'' ვერ შესძლებს მაშინ ამ და- ულ ინტერესების უარყოფას. მაშასადა- მე ბრძოლა ამ სფეროში, რომელიც ბავ- შურ ,,შინ-ჩემიანობასა'' გავს, უნაყო- ფო არსებითად და უკანონოა ფორმის ხრივ, რადგან მანდატი გუბერნიისა, ყოველ შემთხვევაში, ეკუთვნის გელო- ვანს და არა ჩხენკელს.

სეთი გალაშქრება ჩხეიძესი და ჩხენ- კელისა დაკავშირებულია იმ პოზიციას- თან, რომელიც უკავიათ საზოგადოთ დემოკრატებს თვითმართველობის სა- კითხის შესახებ. მოყვანა იმ საბუთები- ა, რომლითაც ებრძვიან ისინი ავტონო- მიის იდეას, გამეორება იქნებოდა მრა- ვალჯერ თქმულისა, აღსანიშნავია მხო- ლოდ, რომ ამ საბუთში არ არის არც ერთი ისეთი მოსაზრება, რომელიც მათ- გან კამათს შესაძლებლათ ხდიდეს. მა- თი აზრით საქართველოს ავტონომია იმიტომ არის რეაქციონური და ნაციო- ნალისტური მოთხოვნილება, რომ იგი ქართულ შოვინიზმის კერათ გადაიქცე- ვა, მაგრამ განა შესაძლებელია ასეთი ურიური აზრი საკამათო საგნათ გახდეს? ქართველოს მომავალს ავტონომიას შე- საძლებელია ყველაფერი დაემართოს და მართლაც შოვინიზმის კერათ იქცეს, მაგრამ აქედან დასკვნის გამოყვანა მაინც შეიძლება, რომ ავტონომიის დანი- შნულება—შოვინიზმია. როცა წვიმა მო- დის—ჩვენ ვსველდებით ხანდახან, მაგრამ ც ერთი ასტრონომი ვერ გეტყვით, რომ წვიმის დანიშნულება სწორეთ ეს სველებაა, მაშასადამე მათი მთავარი არგუმენტი ვერ უძლებს სულ მცირე კრიტიკასაც.

მიუხედავათ ამისა, მათ ბრძოლა გა- იტანეს სათათბიროში და როდესაც დეპუტატმა გელოვანმა თავისი სიტყვა წარმოსთქვა, ამით მათაც საბუთი მიეცათ ხდინათ თავიანთი ,,შესანიშნავი გა- ლაშქრება'', რამაც ცოტა მნიშვნელობა იქონია. თავისი გალაშქრებით მათ მოინდომეს დაენახვებიათ სათათბიროს- თვის, რომ ვ. გელოვანი არამცთუ სა- ქართველოს სურვილის გამომხატველი არ არის, არამედ თვით მისი ამომრჩეველი გუბერნიაც კი არ სთვლის მას თავის დე- პუტატათ. ეს, თავისთავად არა საკადრი- სი საქციელი დაასაბუთეს იმით, რომ გუბერნიის დემოკრატიამ'' თავის ინტე- რესების დაცვა მათ—ჩხენკელსა და ჩხეი- ძეს დაავალა და არა გელოვანს. აქედან დასკვნა ერთია—მაშასადამე ,,გუბერნიის დემოკრატია'' წინააღმდეგია ავტონო- მიისა.

ი, რა პირობებში აიხადა ჩადრი სა- ქართველოს ავტონომიის იდეამ სათათ- ბიროში და რა პირობებში უჩვენა სახე ეთს. ერთის მხრით მას შეხვდა და- ებული მთავრობა, რომელიც ძხათ ს ყოველი თავისი ჭირი დამალოს, ც ჭირი თითონ არა მალავს თავს, რეს მხრით—,,გუბერნიის დემოკრა- ტიის'' ვექილები ჩხეიძე და ჩხენკელი. ეს ერთხელ კიდევ ზედმეტათ გვიჩვე- ნა, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ქარ- თულმა საზოგადოებრივმა აზრმა. ორი დეპუტატის ყოლა სათათბიროში, რომლებიც მუდამ წინააღმდეგნი იქნე- ბიან და მუდამ ასე სკანდალურათ გან- ავენ დეპუტატ გელოვანის ყოველ გამოსვლას, საკუთარ გულზე ორ შხამიან გველის ყოლას ნიშნავს. ისინი კბენას როდეს არ მოიშლიან, მაგრამ საკმაო არის გველის შხამი, საჭიროა გველის ეც და ჩვენც უმთავრესად იმას უნდა დავემყაროთ, რომ ეს უკანასკნელი მათ არა აქვთ.

როდესაც ისინი ,,გუბერნიის დემოკრატიას'' აყენებენ წინ, მაშინ ქართველი საზოგადოება მოვალეა თავის მხრით მიუთითოს ისეთ პირებზე, რომელთაც უფლება აქვთ საზოგადოების სახელით ილაპარაკონ. აკაკი წერეთელი გამოსახულება ქართულის ჰენიისა, იგი დაგვირგვინებული პოეტია თავის ხალხისა და მისი აზრი, გვგონია, ღირს რამეთ. მან, როგორც ნამდვილმა მამულიშვილმა რუსეთის საზოგადოებას უთხრა სწორეთ ის, რასაც ფიქრობს ქართველი ხალხი და თუ რუსეთის მოწინავე საზოგადოება ვერ მოგვცემს მას რაზედაც ლაპარაკობდა პოეტი, ყოველ შემთხვევაში მისი სიტყვებიდან გამოიყვანს იმ საჭირო დასკვნას, რაც გამოსაყვანია. მოსკოვის გაზეთთა ინტერვიუ მოეფინება მთელ რუსეთს და იგი მოვალე იქნება ყური დაუგდოს არა ,,გუბერნიის დემოკრატიის'' ვექილებს, არამედ იმას, თუ რას ამბობს ერთი უდიდესი თანამედროვე ქართველთაგანი. (კლდე).

ა—ი.

გლეხთა ნადელების გარშემო.

მოისპო დროებით ვალდებულობა. 1 იანვრიდან მებატონეები გლეხების ნადელებიდან ვეღარას მიიღებენ, მათ მიეცემათ ხაზინიდან ნადელის საფასური ფული და ეს ფული შემდეგში გადახდებათ გლეხებს. როგორც ვიცით, ქართველ თავადაზნაურებს ამ ფულიდან მოუწევს რვა მილიონ მანეთამდი, რომლის შესახებაც უკვე აძრულია საკითხი, რომ ამ ფულის რამდენიმე ნაწილით დაარსდეს სამელიორაციო ბანკი.

ყოვლის უწინარეს მსურს აღვნიშნო ის ამბები რომელიც დღეს ამ ამბავის გამო სოფლებში ხდება.

დარწმუნდენ თუ არა მებატონეები, რომ სამუდამოთ უნდა გამოეთხოვონ გლეხების ნადელებს, ფრიად შეძრწუნდენ იმის გამო რომ აქამდი ვერ იჭკუეს და არ დაახსნევიეს გლეხებს თავი, რითაც 400-500 მან. დაკარგეს თითოეული გლეხისაგან. დღეს ამდენი ფულის ნაცვლად 40-50 მან. თუ ერგებათ. ამ არა სასიამოვნო გარემოებამ ჯარასავით დაატრიალა ისინი და შეუდგენ თავისებურ საქმეს; ცდილობენ შეცთომა ცოტათი მაინც გამოასწორონ და რაც კი მოხერხდება ასწაპნონ უვიც გლეხობას. გაიჩინეს „აგენტები", ჩაერიენ თითონაც და ურჩევენ გლეხებს, რომ მათ ურჩევნიათ ისევე ბატონებს შეურიგდენ, რადგან მათგან უფრო იოლათ გამოისყიდიან ნადელებს:—ზოგში ვექსილს გამოართმევენ, ზოგში ხარს, ძროხას და სხვა რამე ავეჯს აართმევენ და ასე მსუბუქათ დახსნიან თავს. ხაზინა კი გადაუხდელ ვალათ დაგადებსთ მაგ ფულებსაო, სარგებელს სარგებელზე შეგისვამთ და წიწკნა-გლეჯით გადაგახდევინებსთო; ორმოცდა რვა წლამდი, რომ შეიტანოთ მაინც არ მიიღებს, ამ ხნის განმავლობაში ვერც გაყიდით და ვერც დააწინდრებთ ნადელებს და აბა როგორ უნდა გადაიხადოთო.

სამწუხაროთ, მებატონეებას ასეთ ქცევას, ზოგ-ზოგი მომრიგებელი შუამავალიც მხარს უჭერს.

უვიცი გლეხობა, რომლისათვისაც, ერთის მხრითა, გაუგებარია ეს ახალი კანონი, და მეორეს მხრით დაშინებულია მთავრობის მოხელეთა უდიერი მოპყრობითა გადასახადთა აკრების დროს, ლობე-ყორეს ედება და ასეთი მომრიგებელ დამრიგებელთა წყალობით ადვილად ებმის მებატონებისაგან დაგებულს მახეში.

მართალია ეს ცვლილება, გლეხთა ნადელების შესახებ, ბევრად არ განსხვავდება 1864 წლის ცვლილებისაგან, ნივთიერის მხრით, რადგან გლეხებს, მხოლოდ ერთი მუჭა ნადელი. ისიც ათასჯერ მათგან გამოყიდული, მიყიდეს და ჩამონაჭრები, გლეხების ხელთ ნაჭერი ტყეები და საძოვრები ისევ მებატონეებს დაუტევეს. მაგრამ როგორიც არ უნდა იყვეს გლეხისთვის მაინც დიდი შეღავათია; ერთი იმიტომ, რომ ბატონ ყმური დამოკიდებულებასა სპობს, მეორე იმათ, რომ ნადელი, რომელიც 400-500 მანეთი უჯდებოდა გლეხს, თუ შეიყიდიდა მებატონისაგან, დღეს 40 50 მანეთი დაუჯდება.

საჭიროა, ამ საქმეში ჭეშმარატი მოკეთენი გლეხების ჩაერიონ და ურჩიონ მათ, ნუ აჩქარდებიან, დაუცადონ კანონის სისრულეში მოყვანას, რომელიც ათასჯერ უფრო ხელსაყრელია მათთვის ვიდრე ბატონებთან შერიგება. რაც შეეხება იმ რვამილიონ მანეთს, რომელიც ქართველმა თავად-აზნაურებმა უნდა მიიღონ ხაზინიდან, ფრიად სასარგებლო იქნება თუ იმ ფულის ნაწილით სამელიორაციო ბანკი დაწესდებაო. უეჭველია, რომ ასეთი ბანკი დიდ სამსახურს გაუწევს, არა მარტო თავად აზნაურთა, როგორც ზოგიერთები 'გაიძახიან. (მაგალ. ბ. „მოსული" მერცხლის 16 №-ში) არამედ ყველა მეურნეს, რომლის უმეტეს ნაწილსაც გლეხები შეადგენენ. მაგრამ, ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად მარტო გაზეთის ფურცლებზე წერა არ კმარა, არამედ საჭიროა სოფლებში გამოსვლა. თავად-აზნაურთა კრებების გამართვა და დაყოლება მათი ამ სასარგებლო საქმეზე.

ყოველი ინტელიგენტი ვალდებულია დაეხმაროს ამ საქმეს და არ უგდოს ყური უსაქმო მყვირალებს, რომლთაც მხოლოდ ხელის შეშლა სწადიათ და აღარ იციან რას როშავენ, როგორც მაგალითად ბ. მოსული. ამ ვაჟბატონს ამერიკა აღმოუჩენია და გაიძახის: თავად-აზნაურებს უსასყიდლოთ უნდა გადაეცათ გლეხებისთვის ნადელი. და ისინი კი მასში აღებულს ფულს ინაწილებენ. მზათა ვართ უწოდოთ მათ ავაზაკებიო და სხ., ასე რომ მისი აზრით, რადგან თავად-აზნაურებმა ნადელებში ფული აიღეს, ამიტომ არ შეიძლება იმ ფულის ნაწილი საზოგადო საქმისთვის გადაიდვას არამედ მთლად უგზო-უკვლოთ უნდა დაიფლანტოს! დიდებული აზრია! ..

ბ. მოსულს სამელიორაციო ბანკი საზოგადო სასარგებლოთ არ მიაჩნია! ის გვარწმუნებს; რომ ყველა ეს ბანკები, როგორც წინანდელი ისე ახლად განზრახული, მხოლოდ თავად-აზნაურთა სასარგებლოთ ყოფილა და იქნებაო.

არ აგონდება ამ მართლა მოსულსა და გად-მთიელს, რა სარგებლობაც სათავად-აზნაურო ბანკების წყალობით დაარსებულ გიმნაზიებს ჩვენი ქვეყნისთვის მოუტანიათ და დღესაც მოაქვსთ. ვინიცის იქნება. თითვონ ბ. მოსულმაც ამ ბანკების წყალობით ისწავლა წერა, მაგრამ ნეტავი არ ესწავლა, თუ კი ასე უკუღმართად .გამოიყენებდა მას.

ი. .ძე.

ხსოვნის ვარდი.

ფრთა შევასხი ალმაფრენას,
ყვავილებით მოვრთე ქნარი,
შავ ოცნების ცის შავ მკერდზე
ავაფეთქე ვარსკვლავთ ჯარი...
ნიავს მივეც ოხვრა, დარდი,
სულს ავხადე სევდის რიდე,—
ფიქრის ბაღში ხსოვნის ვარდი,
მოვსწყვიტე და გადმოგიგდე!..
ვერ დააჭკნობს ზამთრის სუნთქვა,
ვერც ცხოვრების სივაგლახე;—
უკვდავია მისი სული,
უცვლელია მისი სახე!..

ცვარ-ნამი

დ ე პ ე შ ა.

პეტერბურგის დეპ. სააგენტოსაგან.

ო მ ი ბ ა ლ კ ა ნ ე თ შ ი.

სოფია. ხმებია—ოსმალეთის პოლკმა ადრიანოპოლის აღმოსავლეთი მხრიდან გამოსვლა დააპირა, მაგრამ უკანვე შეაბრუნესო. ფიქრობენ—ოსმალები, გუშინდელი დამარცხების გამო, ჯარის გადმოსხმაზე უარს იტყვიანო.

26 იანვარს ოსმალებმა ბულაირის წინ გაილაშქრეს. სასტიკი ბრძოლა მოხდა. ბულგარლებმა ძალა დარიეს, ოსმალები განდევნეს და ბულაირის სიმაგრეებამდი სდიეს. ბრძოლის ველზე ურიცხვი მოკლული და დაჭრილი დარჩა. როგორც ოსმალების ტყვეები ადასტურებენ, ოსმალეთის მხრით 6 დივიზია იბრძოდაო. როგორც შებინდდა ოსმალებმა შარკეონასთან ჯარის გადმოსხმა დააპირეს, მაგრამ ნაპირზე ამათ თავს დაესხა ბულგარელი ჯარი, ოსმალებს ბევრი მოუკლეს და გაფანტეს. ოსმალეთის გემები ზღვაში გაბრუნდა.

გაზეთი ,,მირ''-ი კმაყოფილობას აცხადებს, რომ მოლაპარაკება სოფიოში გაგძელდება და იმედიც აქვს—ეს მოლაპარაკება ძალიან მალე დასრულდებაო.

27 იანვრის ბრძოლის დროს ოსმალებს დიდი ზარალი მიაყენეს. სხვათა შორის 20 აფიცერი მოუკლეს. ბულგარლებმა 412 ჯარისკაცი დაკარგეს. მათ 5 აფიცერი მოუკლეს და 2 აფიცერი დაუჭრეს. მოკლულ ჯარისკაცების რიცხვი ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის მხოლოდ, ბულგარლებმა ოსმალეთის დროშა, მრავალი ზარბაზანი, მსწრაფმტყორცნელი მანქანა, თოფები და პატრონები ჩაიგდეს ხელში.

პრაგა. ბულგარეთის წითელი ჯვრის მოწოდების გამო, ომის მოედანზე 3 ჩეხელი აქიმი წავიდა. ჩეხელი დამხმარე კომიტეტი მოწოდებაში აღნიშნავს აუცილებლათ საჭიროა კიდევ 5 დასტაქარი ბულგართა ჯარისთვისო.

სტამბოლი. ყოფილი დიდი ვეზირი ხაკი-ფაშა სპეციალურ მისიით ვენას და პარიზს მიდის.

ლონდონი. ოფიციალურათ იუწყებიან: 27 იანვარს ოსმალებმა ბულგარლებისაგან დატოვებული გამაგრებული დერკოსის პოზიცია დაიპყრესო. ოსმალეთის ჯარი, რომელიც შარკეოიასთან გავიდა ხმელეთზე, ბულგარლებს შეეტაკა და 200 მოუკლა. ტყვეთ წაიყვანეს ბულგარელი აფიცერი.

პოდგორიცა. ბარდანოლის ბრძოლის დაწვრილებითი ცნობები ასეთია: ბრძოლა მთელი ღამე გაგძელდა. ნაშუადღევს ბრძოლა უკიდურეს გამწვავებამრი ავიდა, როდესაც ოსმალეთს საკმაო ძალა მიემატათ სკუტარიდან. სისხლის ღვრამ უფრო იმატა, როცა მეფემ ბძანება გასცა ,,იერიშით მიდითო ოსმალეთის პოზიციებზეო'' ბრძოლის ბედი ვეშოვიჩის ბრიგადამ გადასწყვიტა; მან პირველათ ჩაიგდო ხელში თხრილები. მიუხედავათ მამაცობისა, ოსმალეთის ჯარმა ვერ შესძლო გაძლება და თავზარდაცემული გაიქცა. 2½ საათზე შავმთიელების დროშა უკვე ბარდანოლის მწვერვალზე ფრიალებდაო.

საზღვარგარეთი.

მექსიკა. რესპუბლიკის პრეზიდენტი მადერო და მინისტრები ჯერ კიდევ სასახლეში არიან გამაგრებული, რომლის გარშემო ბრძოლაა გამწვავებული. სამხედრო მინისტრი დაიჭრა. რევოლუციამ სხვა ადგილებშიც იფეთქა.

ფელინდიატს. როგორც ფაქტიურ დიქტატორს ხელთ უპყრია ოთხი თოფხანა და წამლის ქარხნები. მადერომ და მინისტრებმა სასახლე დაგდეს და გაიქცენ. ქალაქში მშვიდობაა. ხმებია—ღამით 250 კაცი მოკლეს და რამდენიმე ასი კაცი დასჭრესო. მადერო ოჯახობით ზღვისკენ გაიქცა. ქალაქში ხიდები დაუწვამთ.

ლონდონი. სამხრეთ-პოლიარული ქვეყნების გამომკვლევმა კაპიტანმა სკოტმა თანამგზავრებთან ერთად 5 იანვარს სამხრეთ პოლიუსზე მიაღწიეს, მაგრამ უკან გამობრუნების დროს ქარ-ბუქის გამო დაიღუპენ.

კრაკოვი. სლავიანების აქაური კავშირის თაოსნობით დიდის ზეიმით იდღესასწაულეს ჩეხლი მგოსნის ფრიდის ხსოვნა.

ვენა. სალონძიმ უარი განაცხადა კაცურას თხოვნაზე კონსტიტუციონალისტებზე და ნაციონალისტებზე გავლენა იქონიეო, ამის გამო სასახლეში გაიწვიეს.ხმებია—მან იმპერატორისაგან ბძანება მიიღო—პარლამენტარული გართულების მოწესრიგებას ხელი შეუწყვეო.

მოხდა მიტინგი 25000 კაცის მონაწილეობით, რომელმაც კაცურას და მის ახალ პარტიას პროტესტი გაუცხადა. ორატორები მოუწოდებდენ კლანების წინააღმდეგ საბრძოლველათ ნაციონალისტთა პარტიამ, რომელმაც ნახევარზე მეტი დაკარგა, გავლენა დაკარგა კონსტიტუციონალისტებმა უარი განაცხადეს სიტყვის უკან წაღებაზე და კაბინეტს ნდობა არ გამოუცხადეს. პარლამენტის სხდომები მესამეჯერ შეწყდა. სამი დღის წინათ პარლამენტის წინ მრავალ რიცხოვანი ბრბო შეიკრიბა, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას. მრავალი მოკლული და დაჭრილია. ბრბომ იმ გაზეთების რედაქციისკენ გაილაშქრა, ვინც კაცურას მხარს უჭერდა და ყველა გაანადგურა.

რ უ ს ე თ ი.

პეტროპავლოვსკი კამჩატკაზე ხუთი დღეა არაჩვეულებრივი ქარბუქია. ამგუნის ოქროს მწარმოებელთა რაიონთან მიმოსვლა შეწყდა.

რიგა. განათლების საზოგადოებამ დაადგინა—ქალთა უმაღლესი დასაწყისი სასწავლებელი გახსნას სხვადასხვა პრაქტიკული კურსებით.

პეტერბურგი. დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის მდივანი გრაფი გოლენიშჩევ კუტუზოვი გადაიცვალა,

ბ ო რ ჩ ა ლ ო.

ბორჩალოს მხარე თავის მრავალფეროვანი ბუნებით და მოსავლიანობით ერთი საუკეთესოთაგანია საქართველოში. აქაური ხორბალი „თეთრი" მთელს ქართლ-კახეთში განთქმულია. არა ნაკლებ ცნობილია აქ გერმანელების მიერ მოყვანილი ღვინო. მაზრის დასავლეთი ნაწილი „თრიალეთი" საუკეთესო საძოვრებით არის შემკული, სადაც რვა შვეიცარული ყველის ქარხანა მუშაობს. მრავალი მთა საუკეთესო ტყეებით არის მოფენილი. წყარომდინარენი სავსეა კალმახით და სხვა გვარი თევზით.

ამ კუთხეს შემდეგი მდინარენი ჩამოუდის: ხრამი, რომლის სათავე თრიალეთის მთებია, მომდინარეობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, შუა წელამდი საზღვრავს თფილისისა და ბორჩალოს მაზრებს; მაშავარი, მომდინარეობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დაერთვის მდ. ხრამს მარჯვენა მხრიდან; ბოლნისი, სათავე ფოლანთოქინის მთით მომდინარეობს სამხრეთიდან ჩდილოეთისკენ და ერთვის მდ. მაშევარს მარჯვენა მხრიდან: დებედა, სათავე ბამბაკის მთა,—მომდინარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთისკენ, ერთვის მდ. ხრამს მარჯვენა მხრიდან.

ყველა ამ მდინარეთ ერთვის მრავალი პატარა მდინარე-ნაკადულები.

ყარსის რკინის გზა ბორჩალოს აღმოსავლეთ ნაწილზე გადის 92 ვერსის სიგძეზე.

თფილის-ყარსის გზა-ტკეცილი სად. ჰანდრიდან დაწყებული დაბა ჯალალ-ოღლამდი (ლორდი) ასი ვერსის მანძილზე ბორჩალოს შუაგულს უვლის.

ეს მხარე ოდესღაც ქართველი ხალხით მჭიდროთ იყო დასახლებული, რასაც მოწმობენ მრავალი ციხე-ეკლესია და ნასოფლარები; დღეს ამ ქართველთა ნასოფლარებზე მოუკალათიათ: სომხებს, თათრებს, რუსებს, ბერძნებს და გერმანელებს; ქართველთა სოფლები კი მათ შორის გაფანტული ძალიან მცირეა, სულ 24 სოფელია. ქართველობა მცხოვრებთა 5% შეადგენს (სომხები—35%, თათრები—30% რუსები—6%.) მეცხრამეტე საუკუნეში ქართველობა აქ უფრო მეტი ყოფილა, მაგრამ მემამულეთა წყალობით იძულებული გამხდარან სხვაგან გადახვეწილიყო. მაზრა 4 საბოქაულოთ იყოფა: ეკატერინე ფელდის, თრიალეთის, ლორის და ბორჩალოსი.

ეკატერინე ფელდის საბოქაულოში მემდეგი ქართველთა სოფლებია: აკაურთა—173 სული, ამ სოფელში ნახევარი მცხოვრებთა თათარია. მათ შორის განწყობილება მეზობლურია. საკუთარი მამული არა აქვთ. ადგილი, რომელიც მათ უჭირავთ ეკუთვნის თავ. არღუთინსკის. აქაურები მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას.

ხატის-სოფელი (ბოლნისი)—278 სული; აქაურები ხვნა-თესვის გარდა მევენახეობასაც მისდევენ, ღვინო აქ კარგი ღირსებისა დგება.

ცოტა მამული საკუთრებათ აქვთ შეძენილი გერმანელებისგან (ამათ თ. ორბელიანთაგან იყიდეს პატარა ნაწილი ამ მამულისა ქართველებს მიყიდეს ერთი სამათ.)

ქვეში—175 სული, წინათ აქ უფრო მეტი მცხოვრები ყოფილა. საკუთრება არა აქვთ. მისდევენ ხვნა-თესვას, მევენახეობას და საქონლის მოშენებას, მამული, რომელიც უჭირავთ ეკუთვნით თ. თ. ორბელიანებს, მუხრანსკებს და სხვებს.

ტანძი—155 სული, საკუთრება არა აქვთ. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. მამული რომელიც უჭირავთ ეკუთვნის თ. ორბელიანს.

კაზრეთი—112 სული, ნახევარი მცხოვრებთა გრიგორიანები არიან. მისდევენ ხვნა-თესვას და ბოსტნობას. ნადელი აქვთ. მამული ეკუთვნის თ. კობულაშვილს.

ბიდარა—343 სული, ნახევარი მცხოვრებთა გრიგორიანები არიან. ხვნა-თესვას მისდევენ. მამული მანთაშევს ეკუთვნის.

რატევანი—260 სული; საკუთრება ცოტა აქვთ. მამული ეკუთვნის მანთაშევს. მისდევენ ხვნა-თესვას და მოჯამაგირეობას გერმანელებთან.

თრიალეთის საბოქაულოში შემდეგი სოფლებია: გორუბეჟი—427 სული, ნახევარი მცხოვრებთა გრიგორიანები არიან. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას, მამული საკუთრებათ აქვთ შეძენილი აზნ. ჩაჩიკაშვილებისაგან.

დიდი-დუმანისი—446 სული, ნახევარი

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი რჩეული ფაიფ რისა და ფაიანსის ჭურჭლეული. საუცხოვო ბრო ლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპ ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე ჭ ემალ გამოვლებული; ჭურჭლეული თეთრი ალ მინის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავადნები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლარევი და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. ვენ მოხრილი სუფრის ყოველგვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები და იატაკზე დასაგები ლინოლეუმი, საზ ღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი სარგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწ ყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილება, დიდძალი რჩეული შპალერი თოფი 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუ თაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტათ დაკლებულია.

მიღებულია

ცნობილი აბრეშუმის თესლი

ხ. ხრისტადულიდის

ერთერთი წარმო-დგენელი მთელ ამიერ კავკასიისა სავაჭრო სახლი

ი. ზოპიელოვის შვ-ბი

ქუთაისში

9

მცხოვრებთა გრიგორიანები არიან. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. საკუთრება აქვთ შეძენილი თ. ორბელიანისაგან.

პატარა-დუმანისი —148 სული, მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. საკუთრება შეძენილი აქვთ თ. ორბელიანისაგან და სხვათაგან.

გაკლიანი—97 სული, მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. საკუთრება არა აქვთ.

ყალამშა—358 სული, მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. საკუთრებათ გამოყიდული ნადელები აქვთ. მამული, რომელსაც ხნარობდენ თ. ქობულაშვილმა რუსებზე გაყიდა, რომელნიც იქვე ჩასახლდენ.

მიჯა—385 სული. მისდევენ ხვნა-თესვასა და საქონლის მოშენებას. მამული საკუთრებათ აქვთ შეძენილი საგლეხო ბანკისაგან.

ბოსლები—403 სული. ნახევარი მცხოვრებთა გრიგორიანები არიან. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. ესენიც ყალამშიელებს ტაფაში იწვიან.

ვარდის-უბანი—251 სული. ნახევარი მცხოვრებთა გრიგორიანები არიან. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. ესენიც ყალამშიელების დღეში არიან.

დიდი-გომარეთი—1944 სული. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. საკუთრება შეძენილი აქვთ თ. შალიკაშვილისაგან.

პატარა-გომარეთი—368 სული. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. საკუთრება შეძენილი აქვთ ნ. საგინაშვილისაგან.

მამულასთველი—337 სული. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. საკუთრება შეძენილი აქვთ ნ. საგინაშვილისაგან გომარელებთან ერთად.

კლდეისი—218 სული. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. საკუთრება არა აქვთ. ადგილი, რომელიც მათ უჭირავთ ეკუთნის თ. ბარათაშვილის ქვრივს.

რეხა—1103 სული. სახაზინო მიწაზე არიან დასახლებული. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას.

ახა—431 სული. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. საკუთრება არა აქვთ.

ბორჩალოს საბოქაულოში შემდეგი სოფლებია:

სითხი—121 სული. მისდევენ სვნა-თესვას და მევენახეობას. ადგილი სახაზინო უჭირავთ.

ზემო-წერაქვი—167 სული. მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. ნადელები აქვთ; დანარჩენი მამული მანთაშევისა უჭირავთ. ლორის საბოქაულოში არცერთი ქართველებით დასახლებული სოფლები არ მოიპოვება. აქ მოსახლობენ: რუსები და სომხები. ადგილი, რომელიც მათ უჭირავთ, სახაზინოს გარდა, შეძენილი აქვთ ქართველი მემამულეებისაგან.

ქართველ მემამულეთ ამ მაზრაში კიდევ მოეპოებათ მამული. დიდ მემამულეებათ ამ მხარეში ითვლებიან: თ. გ. ი. ორბელიანი, ძმ. ქობულოშვილები, სუმბათაშვილი, კ. ი. მუხრანსკის მემკვიდრენი, ბარათაშვილები, მელიქიშვილები, აფხაზები და სხვანი.

სახ. სათ.-აზნ. ბანკს აქვს 4 დიდი მამული, რომლის რაოდენობა უდრის 5049 დესეტინას.

ამდენივე საგლეხო ბანკს ექნება.

დღეს ეს მხარე ქართველობის მიერ დავიწყებულია. აქ არავითარი ქართული კულტურული დაწესებულება არ არსებობს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ შკოლას ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მიერ დაარსებულს ს. ს. დიდ გომარეთსა და ყალამშიაში.

აქაური ქართველობა ძალიან ჩამორჩენილია როგორც გონებრივათ ისე ქონებრივათ.

აქეთკენ რომ დასავლეთ საქართველოდან უმიწაწყლობით შეწუხებული ხალხი ჩამოსახლდეს, აქაურებსაც სარგებლობას მოუტანს.

ორი წლის წინათ რაჭველები დავატარე ამ მხარეში; ყველგან როცა გაიგეს ჩვენი მისვლის მიზანი, სიხარულით ეუბნებოდენ რაჭველებს: „ოღონდ ჩვენი ახლოს გადმოსახლდით და ჩვენის მხრით ყოველგვარ დახმარებას გაგიწევთო“.

რაჭველებმა აქ ჩამოსახლება ვერ მოახერხეს. ამის უმთავრესი მიზეზი გახლდათ უსახსრობა. ვისაც გადასახლების სურვილი ქონდა რაჭაში, ყველა ხელმოკლე გლეხი იყო. როცა მოინდომეს თავისი ქონების განაღდება, მყიდველი არავინ ჩანდა, თუ ვინმე გამოჩნდებოდა იმასაც ჩალის ფასათ უნდოდა შეეძინა. გზის ფულსაც ვერ შოულობდენ, რომ წამოსულიყვენ ადგილების დასათვალიერებლათ. მათი დამხმარე არავინ იყო. დახმარება კი შემდეგში უნდა გამოხატულიყო: 1. მემამულეს უნდა მიეცა ნება ჩასახლებისა, განსაზღვრულ ვადის განმავლობაში გამოსყიდვის უფლებით წინდაწინ მორიგებულ ფასით; გამოყიდვამდი კი უნდა აიღოს იჯარა. 2. გადასახლებულს მოსავლის მოყვანამდი უნდა მიეცეს სესხის სახით ცოტა ფული. აი, ეს უმთავრესი პირობაა, რომელიც გადასახლებას ხელს შეუწყობს.

ნ—ო.

რედაქტორ გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

გარეშე ცნობა.

სოფლის მეურნეთა საყურადღებოთ

„ქაკმენის სითხის შესახებ“.

ნახევარი წელი მეტია რაც ბ. ჩივაძე სწერს „სახალხო“ და „სასოფლო გაზეთებში“ სხვადასხვა ტენდენციურ შენიშვნებს, რომელიც არავითარ საფუძველზე არ არის დამყარებული. დაიბეჭდა მხოლოდ იმ განზრახვით, რომ „ქაკმენის სითხის“ გაყიდვას ხელი შეუშალოს. ამ წერილებში ბ. ჩივაძე ისვრის ხშირათ ერთობ ბრიყვულ სიტყვებსა და გამაუპატიურებელ ბრალს ადებს ჩემს პიროვნებას. უყურადღებოთ ვტოვებ ბ. ჩივაძის ამგვარ საქციელს, რომელიც სამსაჯულოს გასარჩევ საგანს შეადგენს, და მხოლოდ საქმის შესახებ რამდენსამე შენიშვნას ვიტყვი.

ბ. ჩივაძე თავისი პირველი წერილის დაბეჭდვას შემდეგ მაშინებდა კიდევ უფრო მეტ ცუდს დაგიწერ თუ შენ ხმა ამოიღე, გაზეთს ჩემი წერილის პასუხი გაუგზავნეო, ის არ ცნობილობს რეზულტატს, რომელიც გამოცდით შეუტყვიათ თითქმის ყველა გამოჩენილ სწავლულ სპეციალისტებსა და პროფესორებს საზღვარგარეთ და რუსეთში და ხსენებული გაზეთები ჩემი საპასუხო წერილების დაბეჭდვის შესახებ უარს მეუბნებიან. ამიტომ ადვილათ გასაგები უნდა იყოს რომ საქმე უთუოდ კონკურენციას შეეხება, რომელიც „ქაკმენის სითხემ“ შეიძლება გაუწიოს შაბიაბანის გამყიდველებს და ვისაც მისი გასაღება აინტერესებს. რასაკვირველია მათ შეუძლიათ დაარწმუნონ და გადიბირონ გაზეთის გამომცემლები, რომ დასაბეჭდი არიან მარტო მათი ცრუ-ყალბი ცნობები და ჭორები „ქაკმენის სითხის“ წინააღმდეგ, მაგრამ არ დაბეჭდონ ჩემი პასუხები და ტეხნიკური განმარტებანი, მევენახეობისა და ხალხის სასარგებლოთ დაწერილი, რომელიც არავითარი ყურადღების ღირსი არ არისო.

გარდა ამისა ბ. ჩივაძე, რომელსაც არც კი უშინჯავს „ქაკმენის სითხით“ ვაზის წამლობა, მაშასადამე არ შეუძლია მისი უვარგისობა დაამტკიცოს; მაგრამ უფრო დასაჯერებელია, რომ ბატ. ჩივაძეს ჩემი ჯავრი აწუხებს და ამიტომ ჩამაჰო კბილები.

ბ. ჩივაძემ 15 წლის განმავლობაში სახელმწიფო სამსახურის დროს საქარის სანერგეში და მისი სამსახურიდან დათხოვნას შემდეგ დიდი ფული შეიძინა მცხოვრებლების დაზარალებით. იგი ასაღებდა განსაკუთრებით საძირე რუპესტრიზე ნამყენ ვაზებს, მხოლოდ იმიტომ, რომ რუპესტრი იძლევა მეტ % გახარებულ ვაზებს და მაშასადამე მეტი სასარგებლოც იყო, რასაკვირველია, არამყიდველისათვის. და მე კი ყოველთვის ვამბობ და ვსწერ რომ საძირე რუპესტრის მთელ ქუთაისის გუბერნიაში სავენახეთ სავარგისი მიწების $^{3}/_{4}$ ნაწილზე იძლევა ცუდ მოსავალსა და ღვინოსა და ისეთ ვენახს, რომელიც დიდ ხანს ვერ სძლებს და მალე იღუპება.

ბ. ჩივაძეს, გუნცაძესა და სხვებს უნდოდათ ესაღებიათ რაღაც წამალი სოკოავათმყოფობისაგან ვაზების მოსარჩენათ ან შაბიაბნის ვაჭრობის მონოპოლია მიეღოთ მთავრობისაგან. ბ. ჩივაძემ ვერ მოაწყო მის მიერ შემოტანილი წამლის გაყიდვა, რომლის გაყიდვაზე ვაჭრებმა უარი უთხრეს და რომელიც მას აღარ გამოადგა. და მე მევენახეების კრებაზე თფილისში მონოპოლიის მიცების წინააღმდეგი ვიყავი, რადგანაც მონოპოლია მცხოვრებთა სასარგებლო არ იქნებოდა.

ბოლოს, რომ დავინახოთ ზემოხსენებული გაზეთები თუ როგორ ემსახურებოდა მცხოვრებთა ინტერესებს, მე დამჩენია სათქმელათ შემდეგი: „სასოფლო გაზეთი“ რომელიც თავის ფურცლებზე შესაძლოთ სთვლის ბეჭდოს უზდელი და მტრული განმარტება იმისი თუ რისთვის დავესახლე ქუთაისის გუბერნიაში, მე ჩემი პასუხის დაბეჭდვის უარს მეუბნება და თავს იმართლებს, შენი წერილი პიროვნების ლანძღვასა და გინებას წარმოადგენსო, მაშინ როდესაც ხსენებულმა გაზეთმა ძალიან კარგათ იცის რომ ბ. ჩივაძე ჩემსავით დასახლებული ქუთაისის გუბერნიაში, არა მარტო სახელმწიფო სამსახურიდან იყო დათხოვნილი, არამედ იმ სოფლის საზოგადოებიდანაც, სადაც ის ცხოვრობდა, რადგანაც ხალხს უზდელათ და ბრიყვულათ ეპყრობოდა და დაესახლა ისევ იქ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან საზოგადოების წინაშე ბოდიში მოიხადა. მე ქუთაისის გუბერნიის საზოგადოებრივი აზრისთვის მიმინდვია დააფასოს რომელ ჩვენთაგანს ბ. ჩივაძეს თუ მე მეტათ უშრომია ხალხის სასარგებლოთ, ყურადღება მიაქციოს კი იმ გარემოებას, რომ ბ. ჩივაძეს თავისი ჩვეულებისამებრ უზრდელობასა და წვრილმანობას გარდა, რომელიც საქმიაეობას სრულებით არ შეეხება, არავითარი ტეხნიკური განმარტება არ ყოფილა მის ნაწერებში მაშინ, როდესაც მე პირიქით ზრდილობის საზღვარს არ გადავცე ზივარ და მიმართავს განსაკუთრ პრაქტიკული კითხვების განმარტ ვის მევენახეობის სასარგებლოთ, რ თაც ინტერესობს თითოეული ქუ მცხოვრებთაგანი.

რაც შეეხება ბ. ჩივაძის ბრალ რომ ზოგიერთი ვაჭრები „ქაკმენის ს ხეში“ წყალს [illegible] ევდენო, ამ ფ რომლისთვის მე არ შემეძლო მეკანტ ლებია, რასაკვირველია, დიდი გა ექნებოდა წამლობის მიღებულ რეზ ტატებზე. და ამიტომ ახლა კი ნ წამლის გაყიდვა ქუთაისის გუბერნ თვის და ბათომის ოლქისთვისაც გ ცემულია გოკიელიძის მემკვიდრების ტიისან ფირმაზე ქუთაისში, რომ ზომებს მიიღებს რომ ასეთ ფალსიფ ციებს ადგილი აღარ ექმნეს.

ვ. ტიებ

Вѣрно: В. Тьеб

ქ. ქუთაისი
25 იანვარი 1913 წ.

ბ. ბორდამის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

რა საჭიროა—სოფელში აშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოს ტიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ

ძმ. ე. და პ. საპაშვილების

სავაჭროს, ქუთაისში.

(პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

იყიდება ქურა (პლიტა), თუჯის ორი „კომფორ „დუხოვკით“, სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ ჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები ლიან ცოტა არის მოსული.



ფილიპე ნ. ჭელიძი

შამპანიურ

„თამარ მეფე“ და

„კოლხიდა“

ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ო და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეც რათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე ს ლისტის მეთვალყურეობით.

ვინც დაიჭერს არა ნაკლებ 20 ბოთ

ქუთაისში მიტანას ფირმა კისრულობს

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებულ ლი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.

პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება უფასოთ

მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭ

მიხეილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და ქარჩაუხოვის, ქუთაისში.